

## სამედიცინო დაწესებულებების მენეჯმენტი

მოდული #1 - სამედიცინო დაწესებულებების მართვის ტიპები და დონეები, ორგანიზაციული კულტურა - ხანგრძლივობა: 4 საათი

მოდული #2 - ადამიანური კაპიტალის მართვის მნიშვნელოვანი ასპექტები, თანამშრომელთა მოტივაცია - ხანგრძლივობა: 4 საათი

მოდული #3 - მარკეტინგი - ხანგრძლივობა: 4 საათი

მოდული #4 - ინტეგრირებული კომუნიკაცია - ხანგრძლივობა: 2 საათი

მოდული #5 - სამედიცინო მომსახურების ხარისხი და პაციენტის კმაყოფილება - ხანგრძლივობა: 2 საათი

მოდული #6 - რისკის მენეჯმენტი, კრიზისული მართვა სამედიცინო დაწესებულებებში - ხანგრძლივობა: 4 საათი

(მოდული #1- #6) - ტრენერი - სოფო ხაჭომია - ჰოსპიტლების მართვის ექსპერტ-კონსულტანტი, კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

მოდული #7 - ჯანდაცვის სისტემა და ეკონომიკა, გამოწვევები სამედიცინო დაწესებულებებისთვის, სამედიცინო დაწესებულების დანიშნულება და ტიპები.

ხანგრძლივობა: 4 საათი

მოდული #8 - სამედიცინო დაწესებულებების დაფინანსების მეთოდები, შემოსავლები და ხარჯები

ხანგრძლივობა: 4 საათი

- მოდულში განხილული იქნება ჯანდაცვის სისტემის მიზანი და ფუნქციები; ჯანდაცვის სისტემები და საქართველოს ჯანდაცვის სისტემა;
- საბაზრო ურთიერთობების თავისებურებები ჯანდაცვის სექტორში;
- შეზღუდული კონკურენცია ჯანდაცვის ბაზარზე და მისი მიზეზები, სამედიცინო ბაზარზე კონკურენციის შეფასების კრიტერიუმები;
- სამედიცინო დაწესებულებები, როგორც ჯანდაცვის ეკონომიკური სუბიექტები, სახელმწიფო, მუნიციპალური, კომერციული და არაკომერციული სამედიცინო დაწესებულებები სამედიცინო ბაზარზე, სამედიცინო დაწესებულებების კონკურენციის მოდელები;
- ჯანდაცვის ხარჯები, ჯანდაცვაზე დანახარჯების ზრდის მიზეზები და მისი შეკავების მექანიზმები;
- სამედიცინო დაწესებულებების ეკონომიკური სტატუსი, სამედიცინო დაწესებულებების ხარჯები;
- ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურების დაფინანსების მეთოდები: სულადობრივი ანაზღაურების მეთოდი, სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდი, მიზნობრივი ანაზღაურება, ფიქსირებული ხელფასით ანაზღაურების მეთოდი;

- სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მეთოდები: ანაზღაურება თითოეულ პაციენტზე ფაქტიურად გაწეული ხარჯების მიხედვით, დიაგნოზით შეჭიდული ჯგუფებით დაფინანსება (DRG), ანაზღაურება შემთხვევის საშუალო ღირებულების მიხედვით, საავადმყოფოს გლობალური ბიუჯეტით დაფინანსება;
- სამედიცინო მომსახურების ეკონომიკური შეფასების მეთოდები

**ტრენერი - თენგიზ ვერულავა** - მედიცინის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი

**მოდული #9 - რეგულაციები სამედიცინო დაწესებულებებისთვის**

ხანგრძლივობა: 4 საათი

**მოდული #10 - ინფექციების კონტროლი, ეპიდემიოლოგის როლი და ნარჩენების მართვა სამედიცინო დაწესებულებაში**

ხანგრძლივობა: 4 საათი

მოდულის მიზანია, სამედიცინო დაწესებულებაში ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოსა და უსაფრთხო სამედიცინო სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა ინფექციის პრევენციისა და კონტროლის საკითხებში კლინიკის მენეჯერების მომზადებითა და შესაძლებლობების გაძლიერებით.

- სამედიცინო დაწესებულებაში ინფექციის კონტროლის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტები
- სამედიცინო დაწესებულებაში ინფექციის კონტროლთან დაკავშირებული მოთხოვნების ადმინისტრირება
- სამედიცინო ნარჩენების მართვა
- COVID-19 პანდემია და მოქმედი რეგულაციები
- ინფექციის კონტროლის ეროვნული გაიდლაინები

**ტრენერი - მარინე ზაიდაური** ექიმი ეპიდემიოლოგი, ინფექციის კონტროლის სპეციალისტი, მედიცინის დოქტორი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

**მოდული #11 - ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები სამედიცინო დაწესებულებებში** - ხანგრძლივობა: 2 საათი

**ტრენერი - იოსებ მამუკელაშვილი** - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

**მოდული #12 - სამართლებრივი საკითხები სამედიცინო დაწესებულებაში - ხანგრძლივობა: 4 საათი**

- სამედიცინო დაწესებულების მართვის სამართლებრივი ასპექტები;
- პაციენტის უფლებების დაცვა სამედიცინო დაწესებულებაში;
- პაციენტის ინფორმირება ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ან მომსახურებაზე უარის თქმის შესახებ, ინფორმირებული თანხმობის ხელმოწერის მნიშვნელობა;
- პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის უფლებები პაციენტის მკურნალობაზე უარის თქმის შემთხვევაში;
- პაციენტის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხების მიმოხილვა;
- ორგანოთა გადანერგვის სამართლებრივი საკითხები;
- ხელოვნური განაყოფიერება და მათი სამართლებრივი საფუძვლები (ხარვეზები არსებულ კანონმდებლობაში);
- საავადმყოფოს ფურცლის გაცემის განსაკუთრებული პირობები;
- სასამართლო პრაქტიკა - პაციენტის მხრიდან ექიმის და სამედიცინო დაწესებულების წინააღმდეგ; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვა, მათ შორის საქმე სადაც მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა საქართველო (საქმე ეხება სამედიცინო დაწესებულების მიერ არსებული რეგულაციების დარღვევას და პაციენტის გარდაცვალებას).
- არსებული სასამართლო პრაქტიკა პაციენტისათვის ან პაციენტის კანონიერი წარმომადგენლებისათვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.
- შმოკლედ შევხებით პირის მიერ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მოპოვების საკითხს, საბჭოს მიერ ექიმისთვის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების, ჩამორთმევის და წერილობითი შენიშვნის საკითხებს. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ დროებითი საექიმო საქმიანობის მოპოვების საკითხს. განვიხილავთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებას, რომლითაც დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის მქონე პირისათვის საექიმო საქმიანობის 3 თვით შეჩერების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება გაუქმდა.

**ტრენერი - ნათია კახეთელიძე მაგისტრი. კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.**

**მოდული #13 - შრომის უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები - ხანგრძლივობა: 2 საათი**

- შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის მიმოხილვა
- სამედიცინო დაწესებულებისთვის დამახასიათებელი რისკ-ფაქტორები
- შრომის უსაფრთხოების პრევენციული ზომები

**ტრენერი - შოთა ნიჟარაძე კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი**

**მოდული #14 - გუნდი და ლიდერობა - ხანგრძლივობა: 4 საათი**

- გუნდის შენება ჯანდაცვის სფეროში, თავისებურებები და განსხვავება სხვა სფეროებთან
- გუნდის შექმნის სტადიები და ნაბიჯები წარმატებული გუნდის შესაქმნელად,

- ლიდერობა მისი ფორმები.
- კონფლიქტების არსი და მათი მართვა განსაკუთრებულობა და სირთულები ამ მხრივ სამედიცინო დაწესებულებებში.
- მოტივაცია და მისი არსი - როგორ "ვაიძულოთ" თანამშრომლებს იყვნენ უკეთესები.

**ტრენერი - გიორგი მახარაშვილი MD კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლის დეკანი.**